ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

COVID-19

საგანგებო მდგომარეობის
სამართლებრივი მიმოხილვა

ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები

9 აპრილი, 2020

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

კითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგი საშუალებებით:

☎ +995 322 207 407
✉ info@nplaw.ge 💻 nplaw.ge
🕐 ორშ-პარ 10.00-18:00

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

სარჩევი

I. საგანგებო მდგომარეობის ძირითადი სამართლებრივი შედეგები 1

1. სამგზავრო მიმოსვლის შეჩერება და გადაადგილების შეზღუდვა 2
2. საკუთრების უფლების შეზღუდვა 4
3. საგანმანათლებლო პროცესი 4
4. კულტურული და სპორტული ღონისძიებების შეზღუდვა 4
5. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა 5
6. კერძო და საჯარო სივრცეში შეკრების/თავშეყრის შეზღუდვა 9
7. ადმინისტრაციული წარმოება 10
8. სამართალწარმოება 12

II. ფორს-მაჟორთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები 13

1. წარმოადგენს, თუ არა კორონავირუსის (COVID 19)-ის გავრცელება ფორს-მაჟორულ გარემოებას? 14
2. რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს მაშინ, თუ ჩაითვლება, რომ კორონავირუსის (COVID 19)-ის გავრცელება წარმოადგენს თქვენთვის ფორს-მაჟორულ გარემოებას? 15

III. საგანგებო მდგომარეობისა და პანდემიის გავლენა შრომით ურთიერთობებზე 17

1. შეზღუდვები საოფისე სამუშაოებთან მიმართებით 17
2. შრომითი ფუნქციების შესრულება დისტანციურად 17
3. შრომითი ურთიერთობის შეჩერება 18
4. ანაზღაურებადი შვებულების გამოყენება: 19
5. შრომით ურთიერთობის შეწყვეტა 19

IV. საგადასახადო პრეფერენციები 20

1. უსასყიდლო ოპერაციები 20
2. გადასახადების გადავადება 23
3. საგადასახადო დავები 26

V. რელევანტური საკანონმდებლო აქტები და რესურსები 29

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

I. საგანგებო მდგომარეობის ძირითადი სამართლებრივი შედეგები

- **რა არის საგანგებო მდგომარეობა?** – საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ცხადდება მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისთვის და ადგენს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული ცალკეული უფლებების გარკვეულ შეზღუდვებს.

- **რა ვადით მოქმედებს და რა ტერიტორიაზე მოქმედებს საგანგებო მდგომარეობა? -** ძალაში შევიდა 2020 წლის 21 მარტს და მოქმედებს 2020 წლის 21 აპრილამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

- **რომელი უფლებები შეიზღუდა? -** შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, კერძოდ:

  - ადამიანის თავისუფლება;
  - მიმოსვლის თავისუფლება;
  - პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება;
  - სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები;
  - საკუთრების უფლება;
  - შეკრების თავისუფლება ;
  - შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება.

- **ვინ არის ვალდებული დაიცვას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი? -** ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, იმყოფება, ან შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე.

- **რას იწვევს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა?**

  - **ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას** – ჯარიმას ფიზიკური პირებისათვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისათვის – 15 000 ლარის ოდენობით.

  - **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას** - ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ხოლო ამ ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

რა სახის ძირითადი შეზღუდვებია დადგენილი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საგანგებო მდგომარეობის დროს?

1. სამგზავრო მიმოსვლის შეჩერება და გადაადგილების შეზღუდვა

კომენდანტის საათი - გასათვალისწინებელია, რომ 2020 წლის 31 მარტიდან, საგანგებო მდგომარეობის ვადით, აიკრძალა 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება, საქართველოს მთავრობის №181 დადგენილებით (შემდგომში „დადგენილება №181“) განსაზღვრულ სხვა გამონაკლისებზე და საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებზე. ამასთანავე, საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში ფიზიკური პირი ვალდებულია, გადაადგილებისას თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, დღის დროის მიუხედავად, გარკვეული გამონაკლისების გარდა, 70 წლის ან მეტი ასაკის პირებს აეკრძალათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება.

საერთაშორისო - საგანგებო მდგომაროების ვადით შეჩერდა საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა. შეჩერდა პირდაპირი საერთაშორისო რეგულარული რეისები. ამასთანავე, საქართველოს მოქალაქეები, მათი ოჯახის წევრების და სხვა გამონაკლისების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში, პირებს შეეზღუდათ როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო სივრიცთ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა.

თუმცა, ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება:

- ისეთ ფრენებზე, რომლის დროსაც უცხო ქვეყნებიდან საჰაერო ხომალდი ჩამოფრინდება საქართველოში მგზავრების გარეშე, საქართველოდან მგზავრების გაყვანის მიზნით;
- სატვირთო, სამთავრობო, სამხედრო, ამბულატორიული, ავარიული, ტექნიკური დაჯდომის მიზნით განსახორციელებელ, საავიაციო სამუშაოების განმახორციელებელ და ძებნა-შველის ფრენებზე;
- ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობის ოპერატიულ დაქვემდებარებაში არსებული, ნატოს დროშის ქვეშ მცურავი სამხედრო-საზღვაო შენაერთის მცურავი საშუალების ორგანული ვერტმფრენის მიერ საქართველოს ტერიტორიული ზღვის ფარგლებში სასწავლო მიზნებით განხორციელებულ ფრენებზე.

ქვეყნის შიგნით - საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება/ჩერდება:

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

- სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება. ამასთან, მგზავრები უნდა განთავსდნენ მძღოლის უკანა მხარეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, თუ სატრანსპორტო საშუალების სალონის მოწყობა აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა (იხ. რეკომენდაციები რელევანტურ საკანონმდებლო აქტებსა და რესურსებში). თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებზე.
- სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა, გარდა სამომსახურეო სარკინიგზო მიმოსვლისა, რომლის ფარგლებში სატვირთო გადაზიდვების შეუფერხებლად წარმოების მიზნით ხდება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შემუშავებული გრაფიკით თანამშრომლების გადაადგილება/გადაყვანა საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე და პირიქით, ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებით;
- საქალაქთაშორისო ან/და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მათ შორის, მეტროპოლიტენითა და საბაგიროთი გადაადგილება;
- რეგულარული საჰაერო მიმოსვლა ქვეყნის შიგნით მგზავრთა გადაყვანის მიზნით. არარეგულარული (ჩარტერული) ფრენების განაცხადი განიხილება ინდივიდუალურად, სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტები

- აიკრძალა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე შესვლა და ტერიტორიიდან გასვლა, გარდა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ/ფაქტობრივად მცხოვრები პირებისთვის;
- აიკრძალა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გადაადგილება. აღნიშნული აკრძალვა არ ეხება სამედიცინო მომსახურების მიღების, სურსათისა და ფარმაცევტული პროდუქტის შეძენის მიზნით გადაადგილებას. ასევე, აკრძალვა არ ეხება დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას;
- აიკრძალა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანსპორტის სამგზავრო გადაადგილება. გამონაკლისები დაშვებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

2. საკუთრების უფლების შეზღუდვა

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, საქართველოს მთავრობას მიენიჭა უფლება, აუცილებლობის შემთხვევაში, საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისათვის მის მიერ დადგენილი წესით შეზღუდოს საკუთრების უფლება და გამოიყენოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და მატერიალური საშუალებები.

> თუმცა ამ მომენტისათვის, საქართველოს მთავრობის მიერ შემდეგი სექტორების მიმართ დადგინდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პირველივე მოთხოვნისთანავე, გარკვეული ვალდებულებების შესრულების მოვალეობა:
>
> ა) სასტუმროებისა და განთავსების საშუალების მქონე პირები
> ბ) საჰაერო გადაზიდვის/გადაყვანის განმახორციელებელი პირები
> გ) საავტომობილო გადაზიდვის/გადაყვანის განმახორციელებელი პირები

მართალია, მთავრობის დადგენილება პირდაპირ არ ითვალისწინებს საკუთრების შეზღუდვისას სათანადო ანაზღაურებას, თუმცა, ასეთ წესს ადგენს საგანგებო მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები უფლებამოსილნი არიან საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის მიზნით ისარგებლონ იურიდიული და ფიზიკური პირების კუთვნილი ქონებითა და მატერიალური საშუალებებით მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით, რომელიც გაიცემა საგანგებო მდგომარეობის დამთავრების შემდეგ.

3. საგანმანათლებლო პროცესი

სასწავლო პროცესი - 2020 წლის 30 მარტიდან, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში, როგორც ზოგადსაგამანათლებლო, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სწავლება წარმიმართება დისტანციურად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების საფუძველზე.

ღონისძიებათა აკრძალვა - იკრძალება ყველა სახის ტრენინგი, კონფერენცია, სემინარი, გარდა დისტანციური ფორმისა.

4. კულტურული და სპორტული ღონისძიებების შეზღუდვა

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

დაშვებულია კულტურული და სპორტული ღონისძიების ჩატარება მხოლოდ დისტანციური ფორმით, ხოლო სხვა შემთხვევაში:

- აიკრძალა ყველა ტიპის კულტურული ღონისძიების ჩატარება, როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეში, მათ შორის, კონცერტები, სპექტაკლები, დროებითი და მუდმივი გამოფენები, რეპეტიციები, გასტროლები, მასტერკლასები, ტრენინგები და კონფერენციები
- აიკრძალა ყველა ტიპის მასობრივი სპორტული ღონისძიება, მათ შორის, შეჯიბრი, სასწავლო-საწვრთნელი პროცესი/შეკრება, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, სპორტის თემასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ტრენინგი, სემინარი ან/და კონფერენცია

5. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა

2020 წლის 31 მარტის 08:00 საათიდან, აიკრძალა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა. თუმცა, საქართველოს მთავრობის №209, №211 და №216 დადგენილებებით, რომლებიც რეტროაქტიულად გავრცელდა 2020 წლის 31 მარტს წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, იმ საქმიანობების/პირთა ჩამონათვალი, ვისთვისაც ნებადართულია ეკონომიკური საქმიანობა, გაფართოვდა. კერძოდ, ამჟამად, დაწესებულია შემდეგი გამონაკლისები, რომელთაც უფლება აქვთ განაგრძონ საქმიანობა შეჩერების გარეშე ან სხვადასხვა შეზღუდვების გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) საქართველოს მთავრობის მიერ დადგინდა იმ საწარმოთა კონკრეტული ჩამონათვალი, რომელთაც არ ეხებათ ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების მოთხოვნა (იხ. დადგენილება №181-ის დანართი № 1);

ბ) ამასთანავე, საქართველოს მთავრობის მიერ დამატებით დადგინდა იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთაც არ ეხება ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების მოთხოვნა, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში, მათი წარმართვა დაშვებულია მხოლოდ დისტანციურად (იხ. დადგენილება №181-ის დანართი № 2); და მხოლოდ კრიტიკული აუცილებლობისას დაიშვება დისტანციურად დაშვებული საქმიანობის შემთხვევაში არაუმეტეს 5 კადამიანის ოფისში/სამუშაო ადგილზე შეკრება;

გ) დამატებით დადგენილია ეკონომიკური საქმიანობები და ეკონომიკური საქმიანობების განმახორციელებელი ობიექტების/მეწარმე სუბიექტთა ჩამონათვალიც (იხ. დადგენილება №181-ის დანართი № 3);

დ) ასევე, დადგინდა იმ პირთა/საწარმოთა სია, რომელთაც, გამონაკლისის სახით, მხოლოდ კონკრეტული პროექტების გათვალისწინებით მიეცათ ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების უფლება (იხ. დადგენილება №181-ის დანართი № 4);

ე) ბოლოს, საქართველოს მთავრობის დადგენილება №181-ის მე-7 მუხლი, ზემოაღნიშნული ჩამონათვალის დამატებით, განსაზღვრავს იმ ეკონომიკური საქმიანობების ზოგად

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

ჩამონათვალს, რომელზედაც არ ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების მოთხოვნა, ესენია:

- სამედიცინო დაწესებულების საქმიანობა;
- სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების საცალო რეალიზაცია, ასევე მათი წარმოების, შენახვის, საბითუმო ვაჭრობა და დისტრიბუცია, სურსათის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოება;
- წისქვილების, პურ-ფუნთუშეულის საცხობების, რძის მიღება-გადამუშავების საწარმოების საქმიანობა;
- ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოების/გადაცემის/განაწილების/მიწოდების, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდების, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება;
- კომერციული ბანკების საქმიანობა;
- იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და მათი აგენტების საქმიანობა, რომლებიც აწვდიან მომსახურებას თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით;
- საგადახდო სისტემის ოპერატორების საქმიანობა;
- ბანკომატების, თვითმომსახურების კიოსკებისა და პოსტერმინალების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობა;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა;
- საბანკო-საფინანსო პროდუქტების/მომსახურების დისტანციური არხებით მიწოდებისა/რეალიზაცია;
- სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება/დისტრიბუცია/რეალიზაცია;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასა და მეცხოველეობასთან/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობა;
- მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურება;
- საკვები პროდუქტის, სურსათისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის/ფარმაცევტული პროდუქტის მიტანის მომსახურება (ე.წ. „დელივერი სერვისი“);
- ნავთობის და გაზის მოპოვება, გადამუშავება;
- კერძო დაცვითი საქმიანობა;
- საადვოკატო საქმიანობა;
- ავტოტექმომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობა;
- პრესის ჯიხურები;
- ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, თუ იგი ხორციელდება დისტანციურად მხოლოდ სახლიდან (სახლიდან გაუსვლელად).

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

* **დისტანციურად საქმიანობა** - ყურადსაღებია, რომ მთავრობის დადგენილება №181 ადგენს ზოგად გამონაკლისს, საქმიანობის სფეროს მითითების გარეშე, და უშვებს ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობას, თუ იგი ხორციელდება დისტანციურად, რაც შესაძლებლობას აძლევს ყველა თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელს, დისტანციურად აწარმოოს საქმიანობა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დადგენილება №181-ის დანართი № 2-ის, საფუძველზე, გარკვეული საქმიანობები დაშვებულია მხოლოდ დისტანციურად, როგორიც არის მაგალითად სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა, მედიაცია, არბიტრაჟი, კომპიუტერებით ვაჭრობა, იურიდიული, საგადასახადო კონსულტაცია, აუდიტი, IT და სხვა. თუმცა, ამ შემთხვევაშიდაც, №181 ითვალისწინებს, რომ როგორც დანართ №. 2-ში მითითებული დაშვებული დისტანციური საქმიანობების და ისე ზოგადი გამონაკლისით დაშვებული დისტანციური საქმიანობების განსახორციელებლად, კრიტიკული აუცილებლობისას არის დაშვებული არაუმეტეს 5 ადამიანის თავშეყრა სამუშაო ადგილზე ან ოფისში და იქედან მუშაობა.

* **ელ-კომერცია:** - ასევე, ყურადსაღებია, რომ როგორც ზოგადი გამონაკლისით (დისტანციურად ყველა ეკონომიკური საქმიანობის დაშვებით) ისე, №181-ის დანართ №. 2-ში მითითებული საქმიანობების ჩამოთვლით, დადგენილება №181 უშვებს ელ-კომერციის წარმართვას, თუმცა ამასთანავე ზღუდავს გაყიდული ნივთების მიტანის სერვისს. კერძოდ, №181 დადგენილების 7.1.(ო) პუნქტი ადგენს, რომ დაშვებულია: *„საკვები პროდუქტის, სურსათისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის/ფარმაცევტული პროდუქტის მიტანის მომსახურებისა (ე.წ. „დელივერი სერვისი“)“*. ხოლო სხვა პროდუქტების ელ-ვაჭრობის შემთხვევაში, ამდაგვარი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული და მოცემულია მხოლოდ „დისტანციურად ვაჭრობის“ შესაძლებლობა, ხოლო დისტანციურად ეკონომიკური საქმიანობის ფიზიკურ რეალობაში წარმართვის ერთადერთი შესაძლებლობა, კრიტიკული აუცილებლობის შემთხვევაში, ოფისში/სამუშაო ადგილზე შეკრებაა, არაუმეტეს 5 ადამიანისა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული დადგენილება, ერთი მხრივ ნებადართულად მიიჩნევს ელ-კომერციას და დისტანციურად ყოველი პეროდუქტის/მომსახურების გაყიდვას, ელექტრონულად მიწოდებას (მაგ. სიმღერები, ელ-ფაილები ა.შ), თუმცა, ფიზიკურად, მხოლოდ საკვების, პროდუქტის, სურსათისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის/ფარმაცევტული პროდუქტის მიტანის უფლებას ადგენს.

* **სამშენებლო სექტორი:** - ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სამშენებლო სექტორის მიმართ მოქმედებს განსაკუთრებული რეჟიმი. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №181-ის დანართ №2-ში მითითებულია, შენობების და ნაგებობების მშენებლობა, სამოქალაქო მშენებლობა, სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოების წარამრთვა, საშენი მასალის წარმოება/საბითუმო ვაჭრობა, დაშვებულია მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მეწარმე სუბიექტებისთვის.

* გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მეწარმე სუბიექტებმა, სამშენებლო კომპანიებმა, სამშენებლო მასალებისა და საბითუმო ვაჭრობის მწარმოებელმა კომპანიებმა, რომლებსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეეზღუდათ საქმიანობის განხორციელების

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

უფლებამოსილება, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შესაბამისი პირობებით ფუნქციონირების უფლების მისანიჭებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდებიდან (http://www.moesd.gov.ge/) უნდა ჩამოტვირთონ სარეგისტრაციო ფორმა, შეავსონ და გამოაგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე - construction@moesd.gov.ge; ხოლო ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მშენებლობის უფლების გაგრძელებისთვის უნდა მიმართონ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მისამართზე - build@tbilisi.gov.ge.

რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საწარმოებში/ორგანიზაციებში არსებული კვების ობიექტების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ ადგილზე მიტანის ან პროდუქტის სატრანსპორტო საშუალებით გატანის (ე.წ. „დრაივის“) მომსახურებით სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებლის დაშვების გარეშე. თუმცა, საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმლის, აგრეთვე სპირტიანი სასმლისა და ლუდის სარეალიზაციო ობიექტების ფუნქციონირება.

* **გამონაკლისები** - ასევე, გაითვალისწინეთ, თუ თქვენი საქმიანობა შეჩერებულია არსებული დადგენილებით, და გსურთ საქმიანობის ან/და კომპანიის შეყვანა იმ გამონაკლისებში, რომელიც დაუშვებს თქვენს საქმიანობას, შეგიძლიათ ეწვიოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ამ ვებ-გვერდზე არსებული აპლიკაცია:

- http://www.moesd.gov.ge/

ფასების რეგულირება

- ***პირველადი მოხმარების პროდუქტები*** - პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამის მიზანია პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე არსებული საცალო სარეალიზაციო ფასების შენარჩუნება სავალუტო კურსის ცვალებადობის მიუხედავად. პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარებისთვის 2020 წლის 15 მარტიდან 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით, საქართველოში პროდუქტების იმპორტის მიზნით, უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი და ევრო) გაწეული/გასაწევი ხარჯის სავალუტო კურსით გამოწვეული ცვლილების სუბსიდირებას.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

- ***მედიკამენტები, სამედიცინო პრეპარატები და მომსახურება*** - ამ დროისათვის მთავრობას არ დაუდგენია ამგვარ პროდუქტების ფასების რეგულირება.

რეკომენდაციების შესრულება - ყველა დაშვებული ეკონომიკური საქმიანობა, მიუხედავად ფორმისა და სახისა, უნდა განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების პროცედურები უკე განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის ერთობლივი ბრძანება №1-1/162 – №01-38/ნ-ით. აღნიშნული ბრძანებით, რეკომენდაციების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებენ სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი.

სანიტარიულ-ჰიგიენური წესები - მთავრობის №181 დადგენილებით მიღებული სპეციალური სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვა ევალებათ:

- ობიექტებს, რომლებიც აწარმოებენ/გადაამუშავებენ სურსათს;
- ობიექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის ე.წ. მიტანის სერვისით სურსათის მიწოდებას;
- ობიექტებს, რომლებიც ახორციელებენ საცალო/საბითუმო ვაჭრობის ობიექტებში მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებას.

6. კერძო და საჯარო სივრცეში შეკრების/თავშეყრის შეზღუდვა

შეკრების/თავშეყრის აკრძალვა - იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა შეკრება, მანიფესტაციის წარმართვა და ასევე, თავშეყრა 3 პირზე მეტი რაოდენობით. საჯარო სივრცე განიმარტება როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ არსებულ ნებისმიერ ადგილზე შეკრება, თუ იგი არ წარმოადგენს კერძო პირთა საცხოვრებელ მიზნებისთვის გამოსაყენებელ ადგილს. თუმცა, შეზღუდვა არ მიემართება იმ პირებს, ვისაც არ შეეხო ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა და ასევე სამედიცინო დაწესებულებებს, საჯარო დაწესებულებებს, თავდაცვის ძალებს, სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებს, სამართალდამცავ ორგანოებს, პირთა თავშეყრას მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით; და ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სამშენებლო-ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას; ასევე, თუ საქმაინობა ექცევა მთავრობის №181 დადგენილების მე-7 მუხლის ჩამონათვალში (იხ. 5-6 გვერდები), მაშინ დასაშვებია 3 მეტზე პირის შეკრება, თუ ამას მოითხოვს სამუშაოს სპეციფიკა

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

და დაცული იქნება 2 მეტრიანი დისტანცია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სოციალური ღონისძიებების შეზღუდვა - იკრძალება ისეთი სოციალური ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია 3-ზე მეტი ფიზიკური პირის შეკრებასთან (მაგ: ქელეხი, ქორწილი და სხვა მსგავსი ღონისძიებები).

7. ადმინისტრაციული წარმოება

საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტის საფუძველზე საქართველოს მთავრობას მიენიჭა საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესების დადგენილებით განსაზღვრის უფლება.

- საქართველოს მთავრობის №181 დადგენილებით შეჩერდა კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი ვადები:
  - ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვისთვის დადგენილი ვადები
  - საჯარო და პერსონალური ინფორმაციის გაცემისთვის დადგენილი ვადები

- მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე (02/04/2020, №204), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველ ორგანოებს უფლება მიეცათ, საჩივარი განიხილონ დისტანციურად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ასევე საჩივარი განიხილონ მომჩივნის დაუსწრებლად, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები.

- საქართველოს იუსტიციის მინისტრს მიენიჭა უფლებამოსილება საგანგებო მდგომარეობის ვადით ბრძანებით განისაზღვროს შემდეგი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ადმინისტრირების წესი:
  - სპეციალური პენიტენციური სამსახური
  - ნოტარიუსთა პალატა
  - ეროვნული არქივი

- მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე (30/03/2020, №204) ზემოაღნიშნული ჩამონათვალი გაფართოვდა, შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ასევე შესაძლოა დადგინდეს

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

საქმიანობების განსხვავებული წესი შემდეგი ადმინისტრაციული ორგანოებისთვის:

- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- იუსტიციის სახლი

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (31/03/2020, ბრძანება №511) უკვე დადგინდა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საქმიანობის და ნოტარიუსთა მიერ მომსახურების წესები და პირობები, რომელიც მათ შორის მოიცავს დროებითი სანოტარო ბიუროების ჩამონათვალს, სანოტარო მომსახურების გაწევის წინაპირობებს და შეზღუდვებს.

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (06/04/2020, ბრძანება №515) ასევე დადგენილია სააღსრულებო წარმოების განსხვავებული წესები და დაინტერესებულ პირებს მიენიჭათ უფლება, დაიწყონ სააღსრულებო წარმოება ელექტრონულად. კერძოდ, ნებისმიერი წარმოების (მათ შორის, სააღსრულებო წარმოება, გამარტივებული წარმოება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და სხვა) ფარგლებში, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და წარმოების მონაწილე პირს/განმცხადებელს შორის დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცვლა შესაძლოა განხორციელდეს ელექტრონულად ამავე პირის მიერ მითითებული ელექტრონული მისამართის მიხედვით (მოქალაქის პორტალის my.gov.ge ან info@nbe.gov.ge ელექტრონული ფოსტის მეშვეობით). ამასთაანვე, ამავე ბრძანებით დადგინდა მთელი რიგი შეზღუდვები სააღსრუმებო წარმოეებებთან დაკავშირებით.

- მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების (30/03/2020, №204) თანახმად, ასევე შეჩერდა კონკურსის ჩატარების ვადები იმ ადმინისტრაციულ ორგანოებში, რომელშიც საგანგებო მდგომარეობის გამო შეუძლებელია კონკურსის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარება.

- სახელმწიფო ინსპექტორს მიენიჭა გარკვეული უფლებამოსილებები, მათ შორის უფლება შეაჩეროს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის, სახდელის დადების ხანდაზმულობის ვადები და სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულების, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადები.

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიენიჭა უფლებამოსილება ბრძანებით დაადგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი მომსახურების უზრუნველყოფასა და მომსახურების ცალკეულ საფასურებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებული წესები.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

- დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების (26/03/2020 №192) საფუძველზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა საგზაო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის X თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაკისრებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის ან/და საურავის გადახდის ვადები. აღნიშნული ვრცელდება იმ სამართალდარღვევებზე, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარეა.

- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებების, ასევე პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების ვადები ჩაითვლება შეჩერებულად საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე.

- საგანგებო მდგომარეობის ვადით საჯარო დაწესებულებებს, ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს მიენიჭათ უფლებამოსილება, გამოიყენონ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებული პირობების შესაბამისად შესრულებული ელექტრონული დოკუმენტი ან/და ელექტრონული ხელმოწერა.

- დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების (26/03/2020, №196) თანახმად გარემოსდაცვითი კოდექსით გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები განხორციელდება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე; ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილ იქნეს წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებით.

- დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებით (27/03/2020, №201) შეჩერდა სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის ვადა საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების (პირველადი/განმეორებითი) გავლის ვადა ემთხვევა ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადას.

8. სამართალწარმოება

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

სასამართლო პროცესების დისტანციურობა - საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტით დადგინდა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობა, ასევე დადგინდა შეზღუდვა, რომ აღნიშნული წესით სხდომის გამართვის შემთხვევაში, მონაწილე არცერთ პირს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს დისტანციურად სხდომის ჩატარებაზე, მასზე უშუალო დასწრების სურვილის მოტივით.

ხანდაზმულობის ვადები - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის (ბ) პუნქტის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება ჩერდება თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და აუცდენელი დაუძლეველი ძალა. გასათვალისწინებელია, რომ საგანგებო მდგომარეობა ავტომატურად არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა წინაპირობებთან ერთად უნდა შეფასდეს ზემოაღნიშნული საფუძვლით მოკლებული იყო თუ არა პირი მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო მოქმედებებისათვის განკუთვნილი ვადების აღდგენა - სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისთვის საპატიო მიზეზად მიიჩნევა საპროცესო მოქმედების შესრულების შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით. ამასთან, სასამართლო არ არის უფლებამოსილი აღადგინოს ისეთი საპროცესო ვადები, რაც კანონმდებლობით პირდაპირ არის აკრძალული, რომელიც მათ შორის მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სააპელაციო და საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადებს.

სხდომის გადადება - ამასთან, იმ საქმეებზე, რომელიც არ უკავშირდება განხილვის შემჭიდროვებულ ვადებს, პროცესის მონაწილე მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოსთან სხდომის გადადების თაობაზე დისტანციური (http://court.ge/geo_courts) ანდა საფოსტო სერვისების გამოყენებით. ასევე, გაითვალისწინეთ რომ, სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მოსამართლეთა თანაშემწეების მობილური ტელეფონის ნომრები.

II. ფორს-მაჟორთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

1. **წარმოადგენს, თუ არა კორონავირუსის (COVID 19)-ის გავრცელება ფორს-მაჟორულ გარემოებას?**

***შენიშვნა**: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის № 1 დეკრეტის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა, ხოლო საქართველოს მთავრობის N181 დადგენილებით შეიზღუდა გარკვეული ღონისძიებების განხორციელება, აღნიშნული ავტომატურად არ გულისხმობს იმას, რომ თქვენთვის დადგა ფორს-მაჟორული მდგომარეობა და თქვენ თავისუფლდებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ან/და მისი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ყოველი კონკრეტული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ შეფასებას, ბიზნეს სექტორის, ხელშეკრულების საგნის, მისი პირობების, მხარეების და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოვყოთ ის ზოგადი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს კორონავირუსის (COVID 19)-ის ფორს-მაჟორულ გარემოებად მიჩნევისათვის:

- **დადგა თუ არა ისეთი მოვლენა, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, მხარეთა კონტროლს მიღმაა**

    - შესაფასებელია, წარმოადგენს, თუ არა კორონავირუსის (COVID 19) გავრცელება და მისი თანმდევი შეზღუდვები ისეთ ფაქტობრივ, ან იურიდიული მოვლენას, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია მხარეების მიერ. მაგალითად, ქართული სასამართლო პრაქტიკით, ასეთად მიჩნეულ იქნა სტიქიური შემთხვევები, 2006 წლის ოქტომბრის მოვლენები, როდესაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე შეიზღუდა რუსეთიდან საქართველოში საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა; რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი და ა.შ. თუმცა, კორონავირუსი (COVID 19), როგორც პანდემია, რასაც მოყვა საქართველოში გარკვეული ქმედებების შეზღუდვაც, დიდი ალბათობით შესაძლებელია გარკვეულ პირთა მიმართ მიჩნეულ იქნეს ისეთ გარემოებად, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია მხარეების მიერ.

- **კორონავირუსის (COVID 19) და მის საფუძველზე მიღებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, თუ არა მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება?**

    - უნდა შეფასდეს, კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების საფუძველზე და მის წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვებით, ხდება თუ არა შეუძლებელი მხარის მიერ ვალდებულების შესრულება; ე.ი ახდენს თუ არა ასეთი შეზღუდვები მხარის მიერ ვალდებულების შესრულებაზე პირდაპირ და უშუალო გავლენას. მაგალითისთვის, თუ ხელშეკრულების საგანს მომსახურება წარმოადგენს, რომლის მიწოდებაც

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

ელექტრონულად, დისტანციურადაც მოსახერხებელია/დაშვებულია, მაშინ შესაძლებელია ვერ შეძლოთ იმაზე მითითება, რომ კორონავირუსი (COVID 19) გავრცელების საფუძველზე შეუძლებელი ხდება თქვენ მიერ ხელშეკრულების შესრულება. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი შეუძლებლობა უნდა ამტკიცოს მხარემ, რომელიც მიუთითებს მასზე.

- **იყო, თუ არა მოულოდნელი ასეთი მოვლენის დადგომა მხარეებისათვის?**

  - შესაფასებელია, ობიექტურად რამდენად შეუძლებელი იყო მხარეებისათვის ასეთი მოვლენის დადგომის წარმოდგენა და აიღო თუ არა რომელიმე მხარემ რისკი, ასეთი მოვლენის მიუხედავად ხელშეკრულების შესრულების მიმართ. მაგალითად, თუ მხარეებმა ხელშეკრულება დადეს მას შემდეგ, რაც მათ გაიგეს კორონავირუსის (COVID 19)-ის გავრცელების და მისი შეზღუდვების დაწესების თაობაზე, მაშინ მხარე გაცნობიერებულად იღებს რისკს, შეასრულოს ხელშეკრულება ასეთ პირობებში, რამაც შეიძლება შეუზღუდოს მხარეს უფლება, დაეყრდნოს ფორს-მაჟორულ გარემოებას.

2. **რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს მაშინ, თუ ჩაითვლება, რომ კორონავირუსის (COVID 19)-ის გავრცელება წარმოადგენს თქვენთვის ფორს-მაჟორულ გარემოებას?**

- **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში:** ხშირად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არეგულირებს ფორს-მაჟორის დადგომის შემდგომ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე იმ პროცედურას, რაც უნდა დაიცვას იმ მხარემ, რომლის სურვილიცაა ისარგებლოს ფორს-მაჟორის დადგომის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებით. ზოგიერთი ხელშეკრულება ითვალისწინებს გარკვეულ ვადას, რა ვადაშიც უნდა შეატყობინოს მხარემ მეორე მხარეს ასეთი უფლების გამოყენების შესახებ. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია შეფასდეს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობები და პროცედურა და მხარეები მიყვნენ ხელშეკრულებით დადგენილ წესებს.

- **ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში:** იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ხელშეკრულება არ არეგულირებს ფორს-მაჟორის დადგომისას მხარეთა-უფლება მოვალეობას, ან არასრულად არეგულირებს მას, მაშინ იმოქმედებს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდეგი უფლებები:

  - **შესაძლებელია მხარის მიერ მოთხოვნილ იქნეს შესრულების ვადაგადაცილებისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ფორს-მაჟორული მოვლენის დასრულებამდე -** მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ის, რომ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა ავტომატურად, სრულიად არ

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან; თუმცა, შესაძლებელია, ასეთმა გარემოებამ მიანიჭოს მხარეს უფლება, მოითხოვოს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის იმ ვადამდე, რა ვადამდეც განაგრძობს ფორს-მაჟორული მოვლენა არსებობას (მაგალითად მხარეს არ დაეკისროს პირგასამტეხლო შესრულების ვადაგადაცილებისათვის). თუმცა, აუცილებელია, მხარემ შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ და მხარეებმა აწარმოონ მოლაპარაკება ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

- **შესრულების არსებითად გართულებისას, მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების პირობების ცვლილება/მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი -** მხარეს შეიძლება მიენიჭოს უფლება, მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილ გარემოებებისადმი (მაგალითად შესრულების ვადის გადაწევა, პირობების ცვლილება ა.შ); თუმცა, მხარეს ეკისრება გარკვეული გარემოებების მტკიცების ტვირთი; ე. ი მან უნდა ამტკიცოს, რომ: ა) გარემოებები არსებითად შეიცვალა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების შემდგომ; ბ) სწორედ შეცვლილმა გარემოებებმა გამოიწვია არსებული ვალდებულების შესრულების არსებითად გართულება/დამძიმება; გ) შეცვლილი გარემოება მხარის კონტროლს გარეთაა და მხარეებს არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ ხელშეკრულების დადებისას ის, რომ გარემოებები ასე შეიცვლებოდა; დ) მხარეებს არ უნდა ჰქონდეთ მოქცეული ასეთი ცვლილება რომელიმე მხარის რისკის ქვეშ;

  *გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 1 აპრილის №11 ბრძანებით, შევიდა ცვლილება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში დ აგანისაზღვრა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში [ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი] დასაშვებია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების ოდენობის გაზრდა არაუმეტეს 10%-ისა, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სამშენებლო მასალების ხარჯის ზრდის დაფინანსების გათვალისწინებით, აგრეთვე დასაშვებია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №619 განკარგულებით დადგენილი წესით. თუმცა, ეს წესი არ ვრცელდება ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვაზე.

- **ხელშეკრულებაზე უარის თქმა -** იმ შემთხვევაში, თუ კორონავირუსის (COVID 19)-ის გავრცელების აღმოსაფხვრელად ისეთი შეზღუდვები დაწესდა, რომელიც არა დროებით, არამედ საერთოდ შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების შესრულებას, ან/და მხარეების მცდელობის მიუხედავად შეუძლებელია ხელშეკრულების

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მხარეს ხელშეკრულების დროული შესრულების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა, და მან დაკარგა ხელშეკრულების დაგვიანებული შესრულებისადმი ინტერესი (რაც ობიექტური გარემოებებით დასტურდება), შესაძლებელია უარი ითქვას ხელშეკრულებაზე, თუ არ არსებობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოებები.

III. საგანგებო მდგომარეობისა და პანდემიის გავლენა შრომით ურთიერთობებზე

1. **შეზღუდვები საოფისე სამუშაოებთან მიმართებით**

იმ დაწესებულებებში, სადაც არ შეჩერებულა საქმიანობა, შესაძლებელია, სპეციფიკის გათვალისწინებით, დაშვებულ იქნეს 10-ზე მეტი პირის თავშეყრა, არანაკლებ 2 მეტრიანი დისტანციის დაცვის შემთხვევაში და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2. **შრომითი ფუნქციების შესრულება დისტანციურად**

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. მიმდინარე მოვლენების ფონზე, კომპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა არ ეწინააღმდეგება შრომითი ურთიერთობის დეფინიციას და ავტომატურ გავლენას არ ახდენს ანაზღაურების სისტემაზე.

რეკომენდირებულია დასაქმებულს ნათლად განემარტოს შემდეგი:

- დისტანციურ რეჟიმში მუშაობის პერიოდში არ იცვლება სტანდარტული სამუშაო და შესვენების დროები;
- დისტანციურ რეჟიმში მუშაობისას დასაქმებული ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიის ხელმძღვანელებისა და კლიენტების მიერ სატელეფონო ანდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
- იმ შემთხვევაში თუ დასაქმებულის მიერ, მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, ვერ ხერხდება მომსახურების გაწევა, ამის შესახებ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინოს ხელმძღვანელს;

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

- საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდისათვის ხელმძღვანელს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებული მათ დაუკითხავად, დროებით გადაიყვანონ ისეთ სამუშაოზე, რომელიც არ არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული.

დისტანციურად შრომითი ფუნქციების განხორციელების შეუძლებლობის ან/და სხვა გარემოებების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ქვემოთ განხილული რეჟიმები.

3. **შრომითი ურთიერთობის შეჩერება**

- **შრომითი ურთიერთობის შეჩერება დროებითი შრომისუუნარობის გამო -** დროებით შრომისუუნარობად მიიჩნევა პერიოდი თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს; შრომისუუნარობის გამო საავადმყოფო ფურცელი გაიცემა დაავადებით ან დასახიჩრებით გამოწვეული შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში; ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის გამო და ასევე, **კარანტინის პერიოდზეც.**

- **კარანტინი** – საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით განიმარტება როგორც ეპიდსაწინააღმდეგო და პროფილაქტიკური ღონისძიებები დაავადებების სახელმწიფოდან ან ობიექტებიდან გატანის ან შეტანის აცილების მიზნით, რომლებიც ტარდება დაინფიცირებულ რაიონებში, პორტის, აეროპორტის, რკინიგზისა და ავტოსატრანსპორტო სადგურების ტერიტორიებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე და გულისხმობს დაავადებულთა და მათთან კონტაქტში მყოფი პირების, ინფიცირებული ტვირთების, კონტეინერების გარკვეული დროით იზოლაციასა და მათთან კონტაქტის შეწყვეტას.

  საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტინის) ტოლფას ცნობას გასცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული დოკუმენტი დამსაქმებლებისთვის ხელფასის გაცემის საფუძველი იქნება და შესაბამისად დასაქმებულ ადამიანებს ლეგიტიმურად ჩაეთვლებათ და სრულად აუნაზღაურდებათ კარანტინისა და თვითიზოლაციისას გაცდენილი სამუშაო დღეები.

  აღნიშნული ცნობის მისაღებად დაინტერესებულ პირს შეუძლია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@moh.gov.ge მიმართოს. დროებითი შრომისუუნარობის პერიოდზე გაცემული საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე ხორციელდება დასაქმებულისთვის დახმარების

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

გაცემა, რაც გამოითვლება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურების საფუძველზე.

4. **ანაზღაურებადი შვებულების გამოყენება:**

დასაქმებულისა და დამსაქმებლის შეთანხმებით, რეკომენდირებულია ანაზღაურებად შვებულებაზე წვდომის გაფართოება, შვებულების გრაფიკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცვლილებით ანდა ანაზღაურებადი შვებულების პერიოდის გახანგრძლივებით.

იმ შემთხვევაში თუ დეკრეტით დაწესებული შეზღუდვებიდან, საწარმოს სპეციფიკისა და გართულებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია შრომითი ურთიერთობის შეჩერების რეჟიმის ამოქმედება, შესაძლებელია შემდეგი სცენარების განხილვა:

- დასაქმებულისა და დამსაქმებლის წერილობითი შეთანხმებით სამუშაო გრაფიკის ცვლილება, ან/და;
- დასაქმებულისა და დამსაქმებლის წერილობითი შეთანხმებით, ყოველთვიური ანაზღაურების ცვლილება;
- დასაქმებულისა და დამსაქმებლის წერილობითი შეთანხმებით ფაქტობრივად ნამუშევარი დროის ანაზღაურების რეჟიმზე გადასვლა, ასეთ შემთხვევაში, დამსაქმებელმა ნათლად უნდა განუსაზღვროს დასაქმებულს საათობრივი ანაზღაურების განაკვეთი და სამუშაო გრაფიკი;

5. **შრომით ურთიერთობის შეწყვეტა**

გასათვალისწინებელია, რომ არსებული კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით, დაწესებულების სფეციფიკისა და შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნეს შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილი.

საქართველოს შრომის კოდექსი განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს, ხოლო სხვა საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დაუშვებელია.

შესაძლო აქტუალური საფუძვლები საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში და გასათვალისწინებელი გარემოებები:

- **ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას**; - დამდგარი გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული საფუძველი შესაძლებელია გამოიყენოს ისეთმა დაწესებულებებმა, რომელთა საქმიანობაც შეჩერდა მთავრობის დადგენილების შესაბამისად და ამასთან შეუძლებელია თანამშრომელთა დისტანციურ რეჟიმში

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

მოქცევა, ანდა ისეთმა დაწესებულებებმა, რომელთა ეკონომიკურ მდგომარეობაზეც პირდაპირ იქონია გავლენა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ;

- **ხანგრძლივი შრომისუუნარობა** – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთან გამოყენებული აქვს კუთვნილი შვებულება.

IV. საგადასახადო პრეფერენციები

1. უსასყიდლო ოპერაციები

2020 წლის 31 მარტს და 1 აპრილს შემოსავლების სამსახურის მიერ გამოიცა შიდა სახელმძღვანელოები, რომლითაც გადასახადის გადამხდელებს მიეცათ განმარტება რიგი უსასყიდლო ოპერაციების დაბეგვრასთან დაკავშირებით

Link #1 & Link #2

სიტუაციური სახელმძღვანელო #2537

შემოსავლების სამსახურმა განმარტა, რომ თუ ბაზრობის ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრებსა და სხვა ობიექტებში იჯარით გაცემულ ფართზე მეიჯარე (მესაკუთრე) საგანგებო მდგომარეობის არსებობის პერიოდში არ მოსთხოვს იჯარის თანხების გადახდას მოიჯარეებს (რომელთაც ამავე პერიოდში შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა), დაბეგვრის მიზნებისათვის ოპერაცია არ განიხილება უსასყიდლო მომსახურებად.
შედეგად არც მეიჯარეს და არც მოიჯარეს არ წარმოეშობათ გადასახადების (დღგ, მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი) გადახდის ვალდებულება.

იჯარის უსასყიდლო მომსახურება არ იბეგრება დღგ-ით და მოგების გადასახადით

- **რომელ საიჯარო ურთიერთობაზე და ობიექტზე ვრცელდება სიტუაციური სახელმძღვანელო?**

სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება საიჯარო ურთიერთობაზე თუ მოიჯარეს წარმოადგენს პირი, რომელსაც საქართველოს მთავრობის #181 (23/03/2020) დადგენილებით (მუხლი 7) შეეზღუდა საქმიანობა.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

გასათვალისწინებელია, რომ ასეთ მოიჯარედ განიხილება არა მხოლოდ ის პირი (მოიჯარე) ვისაც სრულად შეეზღუდა საქმიანობა, არამედ პირი (მოიჯარე), რომელსაც საქმიანობის უფლება შეუნარჩუნდა დისტანციურად ან/და ე.წ. დელივერი სერვისის ფარგლებში. თუმცა, ასეთ შემთხვევაში სიტუაციური სახელმძღვანელო გავრცელდება ამ პირის მიერ იჯარით აღებულ მხოლოდ იმ ობიექტებთან მიმართებაში, რომელსაც იგი ფაქტობრივად აღარ იყენებს.

მეტი თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია შევაფასოთ მაგალითი, როდესაც ტექნიკის საცალო მოვაჭრე პირი საგანგებო მდგომარეობის პერიოდში პროდუქციის მიწოდებას დელივერი სერვისის ფარგლებში ახორციელებს მხოლოდ საწყობიდან და ფაქტობრივად არ იყენებს იჯარით აღებულ ფართებს, რომლებშიც განთავსებული იყო სავაჭრო ობიექტები. ასეთ შემთხვევაში სიტუაციური სახელმძღვანელო გავრცელდება იჯარით აღებულ სავაჭრო ობიექტების ფართებზე.

რაც შეეხება ობიექტებს, რომლებზეც ვრცელდება სიტუაციური სახელმძღვანელო, საყურადღებოა, რომ მასში მითითებული სხვა ობიექტები მოიცავს ნებისმიერ ობიექტს, რომელიც გაცემულია იჯარით ზემოთ მითითებულ პირებზე (მათ შორის, რესტორნებზე, სასტუმროებზე, სპორტულ კომპლექსებზე და სხვა).

- **რა შემთხვევებში არ ვრცელდება სიტუაციური სახელმძღვანელო?**

სიტუაციური სახელმძღვანელო არ ვრცელდება:

- ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მეიჯარის მიერ ხდება იჯარის თანხის გადავადება და არა გათავისუფლება;

- ისეთ მოიჯარეებთან მიმართებაში, რომლებსაც საქართველოს მთავრობის #181 (23/03/2020) დადგენილებით არ შეეზღუდათ ეკონომიკური საქმიანობა (მაგ. სურსათის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების საცალო რეალიზაცია, კომერციული ბანკების საქმიანობა და სხვა).

- **რომელ პერიოდზე ვრცელდება სიტუაციური სახელმძღვანელო?**

  სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება საგანგებო პერიოდის დაწყებიდან მის დასრულებამდე პერიოდში განხორციელებული ოპერაციების მიმართ (დაწყების და დასრულების თვეების ჩათვლით).

სიტუაციური სახელმძღვანელო #2539

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად განიმარტა, რომ დაქირავებული პირების (თანამშრომლების) სამსახურში გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯი არ ექვემდებარება

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

დაბეგვრას, თუ ასეთი ხარჯის გაწევა ხორციელდება იმ პირების მიერ, ვისაც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მიეცათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება.

- **რომელ სუბიექტებზე ვრცელდება სიტუაციური სახელმძღვანელო?**

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, იგი ვრცელდება ყველა იმ პირის მიმართ ვისაც საქართველოს მთავრობის #181 (23/03/2020) დადგენილების მე-7 მუხლით და #1-#4 დანართებით მიეცათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებები, სურსათის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების საცალო რეალიზაციის განმახორციელებელი პირები, კომერციული ბანკები, ნებადართულ სფეროში პროდუქტის ე.წ. დელივერი სერვისით მიმწოდებელი პირები და სხვა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება იმ პირების მიმართ, რომლებსაც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება მიეცათ მხოლოდ დისტანციურად - მხოლოდ იმ შემთხვევებთან მიმართებაში თუ დაქირავებულის სამუშაო ადგილზე გადაადგილება გამომდინარეობდა კრიტიკული აუცილებლობიდან (მთავრობის დადგენილების
7.11 მუხლი).

დაქირავებულთა ტრანსპორტირება სამსახურში ან/და მათი ტრანსპორტირების დაფინანსება არ ითვლება სარგებლად (ხელფასად)

- **რა სახის ხარჯებს მოიცავს სიტუაციური სახელმძღვანელო?**

ხარჯები, რომლებიც არ განიხილება დაქირავებულის სარგებლად და არ ექვემდებარება დაბეგვრას შესაძლოა გაწეული იქნას სხვადასხვა ფორმით, რაც მოიცავს: (1) დაქირავებულების ორგანიზებულად ან ინდივიდუალურად გადაყვანას სახლიდან სამსახურში და უკან, (2) დაქირავებულებისათვის მგზავრობისათვის საჭირო თანხის გადაცემას (ტაქსის სერვისით სარგებლობის ან საწვავის შესაძენად) და სხვა.

- **რომელ პერიოდზე ვრცელდება სიტუაციური სახელმძღვანელო?**

სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება საგანგებო პერიოდის დაწყებიდან მის დასრულებამდე პერიოდში გაწეული ხარჯების მიმართ.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

2. გადასახადების გადავადება

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, პირებს, რომლებიც საქმიანობენ ტურიზმის სექტორში, ასევე იმ ბიზნეს სუბიექტებს, რომელთაც საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამო შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე შეჩერებული აქვთ საქმიანობა, მიენიჭათ უფლება გადაივადონ 2020 წლის თებერვალი-მაისის თვეების მიხედვით გადასახდელი საშემოსავლო და ქონების გადასახადი 2020 წლის 1 ნოემბრამდე.

Link #3

- ### ვისზე ვრცელდება საგადასახადო შეღავათი?

o **ბიზნესოპერატორებზე, რომლებიც ახორციელებენ ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებს, კერძოდ:**

- განთავსების მომსახურებას (სასტუმრო, ჰოსტელი, გესტჰაუსი და სხვა განთავსების ადგილები);
- კვების მომსახურებას (რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა კვების ობიექტები);
- ტუროპერატორულ მომსახურებას (ტურისტული სააგენტოები);
- სატრანსპორტო მომსახურებას (ავიასერვისები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავება და სხვადასხვა სახით ტურისტებისთვის სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება);
- საექსკურსიო მომსახურებას;
- საკონფერენციო მომსახურებას;
- გასართობ მომსახურებას (გასართობი ცენტრები, კინოთეატრები, საბავშვო ცენტრები და სხვა მსგავსი გასართობი ობიექტები);
- სხვა საქმიანობის განმახორციელებელი პირი, რომელიც ორგანიზებული სახით მომსახურებას უწევს ტურისტებს (გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურებების).

o **ბიზნეს სუბიექტებზე, რომელთაც საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული სიტუაციიდან გამომდინარე შეჩერებული აქვთ საქმიანობა.**

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

- **რა გადასახადებზე და რომელ პერიოდებზე ვრცელდება საგადასახადო შეღავათი?**

o გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის საფუძველზე - მარტის, აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში სავადო თარიღებით დარიცხულ **თებერვლის, მარტის, აპრილის** და **მაისის საანგარიშო პერიოდების გადასახადზე**.

o საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის საფუძველზე - **2019 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხულ საშემოსავლო გადასახადზე** და აღნიშნულის საფუძველზე **2020 წლის 15 მაისის სავადო თარიღით დარიცხულ მიმდინარე (საავანსო) გადასახდელზე**.

o საწარმოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის საფუძველზე - **2019 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხულ ქონების გადასახადზე** და მის საფუძველზე **2020 წლის 15 ივნისის სავადო თარიღით დარიცხულ ქონების მიმდინარე (საავანსო) გადასახდელზე**.

- **რა პროცედურებია საგადასახადო შეღავათის მისაღებად?**

o შეღავათით სარგებლობის მიზნით პირმა გადამხდელის პორტალიდან ელექტრონული ფორმით, შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს (Link #4).

o განცხადებაში მოკლედ უნდა აღიწეროს საშემოსავლო და ქონების გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ფინანსური სიძნელეების თაობაზე.

o განცხადება განიხილება 10 სამუშაო დღის ვადაში და დადებითი პასუხის შემთხვევაში გადასახადის გადახდა გადავადდება 2020 წლის 1 ნოემბრამდე.

- **რა დამატებითი შედეგები მოყვება გადასახადების გადავადებას?**

o ზემოთ ხსენებული გადასახადების ნაწილში წარმოშობილ დავალიანებაზე გადახდევინების უზრუნველსაყოფის ღონისძიებები არ განხორციელდება.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

- პირს საშეღავათო პერიოდზე დაერიცხება საურავი, რომელიც დაექვემდებარება სრულად გადაანგარიშებას და ჩამოწერას საშეღავათო პერიოდის (1 ნოემბერი) დასრულების შემდგომ.

- ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, თუ იგი ხორციელდება დისტანციურად მხოლოდ სახლიდან (სახლიდან გაუსვლელად).

შეღავათი ავტოიმპორტიორებს

ავტოიმპორტიორების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება 2020 წლის 1 აპრილამდე შემოყვანილი ავტომობილების განბაჟების ვადის 2020 წლის 1 სექტემბრამდე გახანგრძლივების თაობაზე.

Link #5

- **რაში მდგომარეობს შეღავათი?**

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2020 წლის 1 აპრილამდე შემოყვანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელი თავისუფლდება აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის ან საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე და 171-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, აგრეთვე აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით განსაზღვრული საურავისაგან.

- **ვისზე ვრცელდება აღნიშნული შეღავათი?**

აღნიშნული შეღავათი ვრცელდება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ, რომელსაც 2020 წლის 1 აპრილამდე საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანილი ყავს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

- **რა პროცედურებია შეღავათის მისაღებად?**

  საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, აღნიშნული შეღავათი დაინტერესებულ პირზე ვრცელდება ავტომატურად და განცხადების წარდგენის

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

ვალდებულება არ არის. ამასთან, პირი ისარგებელებს აღნიშნული შეღავათით თუ იგი 2020 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოფს ამ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საბაჟო პროცედურაში მოქცევას ან მისი რეექსპორტის განხორციელებას.

3. საგადასახადო დავები

2020 წლის თებერვლიდან საგადასახადო და საბაჟო დავების ელექტრონული ფორმით წარმოების წესებში შეტანილი ცვლილებებით კიდევ უფრო გამარტივდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში და შემოსავლების სამსახურში ადმინისტრაციული დავების წარმოება, რაც არსებული გამოწვევების პირობებში გადასახადის გადამხდელებს აძლევს საშუალებას შინიდან გაუსვლელად ეფექტურად აწარმოონ საგადასახადო და საბაჟო დავები.

- **სიახლეები საბაჟო და საგადასახადო დავის განხილვის პროცედურაში**

საქართველოს მთავრობის #181 (23/03/2020) დადგენილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო და საბაჟო დავების განმხილველ ორგანოებს მიეცათ უფლება საჩივარი განიხილონ დისტანციურად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ასევე საჩივარი განიხილონ მომჩივნის დაუსწრებლად, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები.

საგადასახადო დავების წარმოება შესაძლებელია დისტანციურად - სახლიდან გაუსვლელად.

- **საგადასახადო და საბაჟო დავის ელექტრონულად წარმოების შესაძლებლობა**

გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით, შესაძლებელი გახდა მომჩივნისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების მატერიალური ფორმის ნაცვლად ელექტრონული ფორმით გაგზავნა - შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (www.rs.ge) გამოყენებით.

შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში გადასახადის გადამხდელებს აქვთ საგადასახადო და საბაჟო დავის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით წარმოების შესაძლებლობა (სახლიდან გაუსვლელად), რაც მოიცავს:

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

- საჩივრის გადასახადის გადამხდელის პორტალის მეშვეობით გაგზავნის შესაძლებლობას;
- საჩივრის განხილვის პროცესში გადასახადის გადამხდელის დისტანციურად მონაწილეობის შესაძლებლობას;
- დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გადასახადის გადამხდელის პორტალის მეშვეობით მიღების შესაძლებლობას.

- **საგადასახადო და საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადა**

საქართველოს მთავრობის #181 (23/03/2020) დადგენილების შესაბამისად შეჩერებულია კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები. მოცემული რეგულაცია ვრცელდება საგადასახადო და საბაჟო დავებზეც და მათი გასაჩივრების ვადების დენა დაიწყება საგანგებო მდგომარეობის დასრულების მომდევნო დღიდან.

ამასთან, აღნიშნული არ ართმევს გადასახადის გადამხდელებს უფლებამოსილებას გაასაჩივრონ საგადასახადო და საბაჟო ორგანების გადაწყვეტილებები, ხოლო დავების განმხილველ ორგანოებს - განიხილონ საჩივრები.

შეღავათები სამედიცინო ინვენტარის მიწოდებაზე და იმპორტზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით დღგ-ისგან გათავისუფლდა რიგი საქონლის იმპორტი და მიწოდება

2020 წლის აპრილიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებებით, **დღგ-ისგან** (ჩათვლის უფლების გარეშე) **გათავისუფლდა შემდეგი საქონლის იმპორტი და მიწოდება**:

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

სეს ესწ კოდი	დასახელება
3822 00 000 00	ტესტები
3926 20 000 00	ბახილები პლასტმასის მასალისგან
3926 90 980 00 და 9004 90 900 00	სახის დამცავი ფარები
4015 11 000 00	ხელთათმანები ნიტრილის ქირურგიული
4015 19 900 00	ხელთათმანები ნიტრილის დანარჩენი
6210 10 900 00	კომბინიზონები საიზოლაციო, სამედიცინო ხალათები, სამედიცინო ხალათების, ქუდებისა და ბახილების კომპლექტები
6307 90 990 00	პირბადეები და ნიღბები, ბახილები კოტონის მასალისგან ლანჩის გარეშე და ბახილები ტექსტილის მასალისგან
6506 99 909 00	სამედიცინო ქუდები
9004 90 900 00	დამცავი სათვალეები პლასტმასის
9025 19 200 00	თერმომეტრები უკონტაქტო

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

V. რელევანტური საკანონმდებლო აქტები და რესურსები

(1) საქართველოს კონსტიტუცია

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

(2) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება № 1, 2020 წლის 21 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830390?publication=0

(3) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი № 1, 2020 წლის 21 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0

(4) „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილება №5864-სს, 2020 წლის 21 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830327?publication=0

(5) „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის დამტკიცების თაობაზე №5865-სს, 2020 წლის 21 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830333?publication=0

(6) ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში გასატარებელი საკარანტინო ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №180, 2020 წლის 23 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=10

(7) საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №181, 2020 წლის 23 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

(8) ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული საკითხების განსხვავებულად მოწესრიგების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N515, 2020 წლის 6 აპრილი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4846300?publication=0

(9) სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების პროცედურების განსაზღვრის თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №1-1/162 – №01-38/ნ, 2020 წლის 6 აპრილი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4846124?publication=0

(10) კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N2020, 2020 წლის 3 აპრილი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4845391?publication=0

(11) „სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 დეკემბრის №01-69/ნ/№451 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №01-36/ნ/№89, 2020 წლის 1 აპრილი

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841418?publication=0

(12) „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №11, 2020 წლის 1 აპრილი

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4842108?publication=0

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

(13) „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №210, 2020 წლის 1 აპრილი

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841944?publication=0

(14) საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საქმიანობისა და ნოტარიუსთა მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №511, 2020 წლის 31 მარტი

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841539?publication=0

(15) საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებსაქართველოს მთავრობის დადგენილება №205, 2020 წლის 31 მარტი

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4840190?publication=0

(16) „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N206, 2020 წლის 31 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4840201?publication=0

(17) „იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის N149 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N510, 2020 წლის 31 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4839069?publication=0

(18) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებსაქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №74 2020 წლის 30 მარტი

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4840147?publication=0

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

(19) „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის N13446 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ შემოსავლების სამსახურის ბრძანება N9206, 2020 წლის 26 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4839707?publication=0

(20) პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №185, 2020 წლის 23 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4832948?publication=0

(21) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივი ბრძანება მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული მეწარმე სუბიექტების ჩამონათვალისა და ფუნქციონირების წესის განსაზღვრის შესახებ №1-1/155, №23, №2-281; 2020 წლის 26 მარტი

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4837039?publication=0

(22) ზოგიერთი პირის მიერ რეგისტრაციის/ლიცენზიის/ნებართვის მისაღებად, აგრეთვე ავტორიზაციის/აღიარების მისანიჭებლად საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების შემოტანის დროებით შეჩერების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №51/04, 2020 წლის 23 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830961?publication=0

(23) ახალი კორონავირუსი COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით სააგენტოს ზოგიერთი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №03, 2020 წლის 23 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4831559?publication=0

(24) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების განსხვავებული წესების დადგენის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №184, 2020 წლის 23 მარტი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4832871?publication=0

(25) საქართველოს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ პრემიერ-მინისტრის ბრძანება №71, 2020 წლის 23 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830690?publication=0

(26) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს №625 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №18, 2020 წლის 23 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4832185?publication=0

(27) საქართველოს კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ

იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33472?publication=6

(28) ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება №529, 2020 წლის 12 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4821857?publication=1

(29) „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №144, 2020 წლის 2 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4812387?publication=0

(30) საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება № 164, 2020 წლის 28 იანვარი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4821121?publication=13

(31) „მეზღვაურთა სერტიფიცირების სფეროში COVID 19-თან დაკავშირებით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №01, 2020 წლის 12 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4821485?publication=0

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

(32) „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №176, 2020 წლის 17 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4826093?publication=0

(33) საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID -19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის გასატარებელი ღონისძიებების საქართველოს მთავრობის განკარგულება №545, 2020 წლის 17 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4825812?publication=0

(34) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №36/ნ, 2020 წლის 18 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4825035?publication=0

(35) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისn ბრძანება №37/ნ, 2020 წლის 18 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4825052?publication=0

(36) საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიერ მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისათვის შემუშავებული მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №177, 2020 წლის 19 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4827773?publication=0

(37) „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №507, 2020 წლის 19 მარტი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4824005?publication=0

(38) ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ზოგიერთი მომსახურების დროებით შეჩერებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული საფასურის გადახდისგან გათავისუფლების ზოგიერთი პირობის დადგენის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №17, 2020 წლის 19 მარტი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4829188?publication=0

(39) სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანება საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ზოგიერთი ღონისძიების განსაზღვრის შესახებ, ბრძანება №14-1, 2020 წლის 17 მარტი; ბრძანება №15-1, 2020 წლის 20 მარტი;

იხ. ბრძანება №14-1: http://nfa.gov.ge/uploads/other/8/8004.pdf

იხ. ბრძანება №15-1: http://nfa.gov.ge/uploads/other/8/8006.pdf

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციები

(40) სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-149/ო, 2020 წლის 4 აპრილი

იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4845540?publication=0

სახელმწიფოს დაწესებულებათა დისტანციური მომსახურებები/განცხადებები:

(41) დისტანციური სერვისების ჩამონათვალი

იხ.: https://stopcov.ge/ka/Services

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

(42) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ონლაინ სერვისები

იხ.: https://napr.gov.ge/p/1913

(43) სასამართლო:

იხ.: http://www.tbappeal.court.ge/index.php?news=914&mc=1

იხ.: http://www.supremecourt.ge/news/id/2056

იხ.: http://static.court.ge/Uploads

(44) სახალხო დამცველის განმარტებები დეკრეტთან დაკავშირებით

იხ.: http://www.ombudsman.ge/res/docs/2020032200203855149.pdf

(45) საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებები.

იხ.: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3897

(46) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადება

იხ.: http://www.moesd.gov.ge/?page=news&nw=1464

(47) თბილისის მერიის განცხადება მშენებლობების თაობაზე

იხ.:http://tbilisi.gov.ge/news/9795?fbclid=IwAR2Oj6DmkxSebUUdvNh5AuiiI8qfSoLRLaEUwxaG2NTL6s_Ozhu_lEqezx4

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საგადასახადო საკითხები:

სანდრო სუხიშვილი

პარტნიორი

sandro.sukhishvili@nplaw.ge

ჯაბა ბალახაშვილი

უფროსი იურისტი

jaba@nplaw.ge

კორპორაციული, შრომითი და სხვა დაკითხები:

ვახტანგ გამცემლიძე

პარტნიორი

vgamtse@nplaw.ge

გიორგი კეკენაძე

უფროსი იურისტი

gkekenadze@nplaw.ge

ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი,

№ 71, ოფისი 28, 0186

(+995) 32 2 207407

www.nplaw.ge

LinkedIn Profile

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის, 2020 წლის 8 აპრილის მდგომარეობით და არ წარმოადგენს სამართლებრივ რჩევას.